

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური განვითარების სტრატეგია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - თსუ), როგორც კავკასიის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არა მხოლოდ ეროვნული და სახელმწიფოებრივი, არამედ რეგიონული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო, კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების კერაა. თსუ-ის მიზანია რეგიონში უცვლელად ჰქონდეს ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის ღირსეულ და წარმატებულ სუბიექტს წარმოადგენდეს. ამავდროულად, თსუ-ს აქვს ვალდებულება და მისია შეინარჩუნოს და განავითაროს ქართული ენა, განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა; ეს როლი მარადიულია და გაცილებით მეტი ვიდრე ნებისმიერი ვადიანი სტრატეგიული გეგმა.

თსუ-ის როგორც ძლიერი კვლევითი ინსტიტუციის ძირითადი მიზანია საზოგადოების წინაშე არსებული და ახალი გამოწვევების ეფექტური გადაწყვეტა უმაღლესი დონის კვლევებისა და ინოვაციების უზრუნველყოფის გზით. მაღალი დონის კვლევები კი, თავის მხრივ საფუძველია მყარი და მიმზიდველი სწავლების განხორციელებისთვის.

ძირითადი მიზნის მისაღწევად თსუ-ს დაგეგმილი აქვს შემდეგი სტრატეგიული ამოცანების განხორციელება:

1. კვლევების ხარისხის და პროდუქტიულობის გაუმჯობესება

კვლევების ხარისხი და გავლენა პირდაპირ დამოკიდებულია მეცნიერების ცოდნა-გამოცდილებაზე და შესაბამისი პირობების არსებობაზე. ჩვენი კვლევის სიცოცხლისუნარიანობის, მდგრადობისა და ხარისხის საფუძველი არის ჩვენი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერთა სრულყოფილი მხარდაჭერა. თსუ უზრუნველყოფს გარემოს ამბიციური და მნიშვნელოვანი კვლევის საკითხების გადასაჭრელად, ასევე იზრუნებს კვლევის პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე. ამისათვის თსუ:

- ხელს შეუწყობს კვლევის განმახორციელებელი პერსონალის განვითარებას შესაბამისი ტრენინგებით, მენტორობით, პრაქტიკული გამოცდილების შექმნით;
- ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერებს კვლევითი პოტენციალის რეალიზებაში, რეალისტური ამოცანების განხორციელებაში და კარიერულ წინსვლაში;
- კვლევების დაფინანსებისთვის გაზრდის ბიუჯეტს, გამოიყენებს ყველა შესაძლო ბერკეტს (სახელმწიფო/კერძო სექტორის დაფინანსება, ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში/პროექტებში მონაწილეობა) და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით გააძლიერებს დამხმარე სერვისებს - დაფინანსების წყაროების მოძიება, საპროექტო წინადადების გაფორმება, პროექტების მართვა და ადმინისტრირება და ა.შ.;
- შეიმუშავებს კვლევების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმს;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო საქმიანობის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების შემდგომ განვითარება/დახვეწას;

- გააუმჯობესებს კვლევის პროდუქტიულობას კვლევის შედეგების მაღალრეიტინგულ გამოცემებსა და სამეცნიერო ღონისძიებებზე გაშუქების ხელშეწყობით და აუცილებელი მატერიალური, ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციულ/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფით.

2. კვლევების გავლენის გაძლიერება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

თსუ-ში ტრადიციულად ხორციელდება ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში. თსუ მეცნიერები ჩართულნი არიან კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, როგორებიცაა CERN-ში მიმდინარე ATLAS და CMS ექსპერიმენტი; იულიხის კვლევითი ცენტრში - COSY ამაჩქარებელი; COMET ექსპერიმენტი, ამაჩქარებელი კვლევითი კომპლექსი (J-PARC); ხმელთაშუა ზღვაში დაწყებული KM3NeT ექსპერიმენტი; პროექტი FAIR (Facility for Antiproton and Ion Research) და სხვა. თსუ შეინარჩუნებს და გააძლიერებს წლების მანძილზე შექმნილ კვლევების გავლენის კულტურას და მხარს დაუჭერს კვლევის განმახორციელებელ პერსონალს ჩაერთონ შედეგზე ორიენტირებულ კვლევებში, რათა პრაქტიკული წვლილი შეიტანონ სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და პოლიტიკური გამოწვევების დაძლევაში. ამავდროულად, თსუ ფოკუსირდება ინდუსტრიასთან პარტნიორობაზე (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე), რათა მოხდეს კვლევის შედეგების ტრანსფერი და დანერგვა პროდუქტებში და სერვისებში. ამისათვის თსუ:

- გაზრდის კვლევების გავლენას სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობით, მაღალრეიტინგულ პუბლიკაციებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებით, პატენტების მიღებით;
- ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას;
- განაგრძობს სამეცნიერო კვლევებისა და საუნივერსიტეტო განათლების ინტეგრაციას პოსტდოქტორანტების და სტუდენტების კვლევებში ჩართვით;
- შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის მხარდამჭერ მექანიზმებს;
- შეიმუშავებს ინდუსტრიასთან პარტნიორობის სტრატეგიას (უნივერსიტეტში არსებული კვლევების შედეგების შეთავაზება/დანერგვა მრეწველობაში და, პირიქით, სამრეწველო სექტორის გამოწვევებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება).

3. ინტერდისციპლინური კოლაბორაციის და კვლევების ხელშეწყობა

უკანასკნელ წლებში ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად სამეცნიერო კვლევების არეალი უფრო და უფრო ფართოვდება. თანამედროვეობის წინაშე წამოჭრილი მრავალი პრობლემა მოითხოვს სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას, რაც ხშირ შემთხვევაში სცილდება, როგორც ერთეული სამეცნიერო ჯგუფის, ასევე ცალკეული ვიწრო სპეციალობების შესაძლებლობებს. ასეთი ტიპის გამოწვევების გადასაწყვეტად თსუ ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური ჯგუფების ჩამოყალიბებას ან/და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას. ამისათვის თსუ:

- სპეციფიური გამოწვევების საპასუხოდ სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერების ინტერდისციპლინურ ჯგუფებად გაერთიანებას და კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად ერთობლივად მუშაობას შეუწყობს ხელს;

- პრაქტიკული ღირებულების მისაღწევად გაცდება ტრადიციულ პროფესიულ და დისციპლინურ საზღვრებს და ხელს შეუწყობს ერთობლივ კვლევებში საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებების და მათ მიღმა პარტნიორების ჩართულობას.

4. კვლევების ეთიკის ნორმების დაცვის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

დღესდღეობით, კვლევითი ინსტიტუციებისთვის საკვანძოა ღია მეცნიერებაში წვლილის შეტანა, კვლევის კეთილსინდისიერად და ეთიკის ნორმების დაცვით განხორციელება, კვლევის მართვის ძლიერი ბერკეტების არსებობა. სამეცნიერო საქმიანობა განსაზღვრული უნდა იყოს გარკვეული რეგულაციებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ქვეყნის კანონმდებლობასთან. კვლევითი პოლიტიკის და მეცნიერების მენეჯმენტის თანამედროვე ტრენდების და ტენდენციების გასათვალისწინებლად თსუ განაახლებს/გააძლიერებს სამეცნიერო საქმიანობის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს. ამისათვის თსუ:

- ხელს შეუწყობს ღია კვლევის კულტურის ჩამოყალიბება/დანერგვას, წახალისებს კვლევის განმახორციელებელ პერსონალს და კვლევაში ჩართულ სტუდენტებს/ახალგაზრდა მეცნიერებს იყენენ მაქსიმალურად ღია თავიანთ საქმიანობაში;
- გააუმჯობესებს კვლევის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით და ღია მეცნიერების განვითარების გზით;
- შესაბამისი რეგულაციების განახლება/დახვეწით და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერების შესაბამისი მხარდაჭერით შეინარჩუნებს კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით განხორციელების კულტურას.

5. კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება და სერვისების განვითარება

თანამედროვე კვლევითი ინფრასტრუქტურის არსებობა და მუდმივი განახლება/გაძლიერება კრიტიკულია თანამედროვე და ხარისხიანი კვლევების განხორციელებისთვის. თსუ უზრუნველყოფს არსებული შესაძლებლობების მხარდაჭერა/განვითარებას და კვლევის სრულყოფილების მიზნით საჭირო რესურსების დროულ განახლება/შეძენას. არსებულ ინფრასტრუქტურაზე დაყრდნობით თსუ შექმნის/განავითარებს/გააძლიერებს უნივერსიტეტის მიღმა არსებული ონგანიზაციებისთვის და სამრეწველო სექტორისთვის მიმზიდველ სერვისებს და განახორციელებს მიღებული შემოსავლის ინვესტირებას ისევე კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. ამისათვის თსუ:

- დაგეგმავს, განაახლებს და განავითარებს კვლევით ინფრასტრუქტურას;
- გააუმჯობესებს თანამშრომლობას ინდუსტრიასთან და ბიზნეს სექტორთან;
- უზრუნველყოფს დამხმარე სერვისებს (საბიბლიოთეკო ფონდი, ონლაინ ბაზები და ა.შ.)

სამეცნიერო-კვლევითი პროგრესის მონიტორინგი (შეფასების ინდიკატორები)

სტრატეგიული ამოცანების შესრულების და თსუ სამეცნიერო პროდუქტიულობის მონიტორინგი განხორციელდება ბიბლიომეტრიული ბაზების მიხედვით შესაბამისი ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების შემოწმებით. შეფასების ინდიკატორებად გამოიყენება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (Scopus, WoS) გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა, H-ინდექსი, ციტირების ინდექსი, მიღებული გრანტების რაოდენობა, პატენტების რაოდენობა, კვლევაზე დახარჯული თანხები, კვლევითი შემოსავალი და ა.შ.